

2017 წლის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით 2017 წლისათვის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი განხორციელდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის - ფიჭვნარის ტერიტორიაზე. სამუშაოები რამდენიმე უბანზე მიმდინარეობდა.

ნამჭედურის გორანამოსახლარი. მესამე წელია, ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, კერძოდ ნამჭედურის გორასამოსახლოზე განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები (ტაბ. I). 2015 წელს შემუშავებული მეთოდის მიხედვით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს შესწავლილი სტრატეგრაფიული ჭრილის შესაბამისად გამოითქვა მოსაზრება, რომ ბორცვის აღმოსავლეთ ფერდობზე უნდა იყოს ანტიკური ხანის უძრავი კულტურული ფენები, რაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბორცვის შესწავლილ მონაკვეთებში არ დაფიქსირებულა (კახიძე, სურმანიძე, შალიკაძე, ძნელაძე, თურმანიძე, ნაგერვაძე, ფარტენაძე, 2017:116). 2016 წელს დასრულდა ჭრილის შესწავლა, რომლის პარალელურად სამუშაოები გაგრძელდა ელინისტური და კლასიკური ხანის უძრავი პლასტების ძიების მიზნით. 30-ე და 29-ე კვადრატების გათხრების დროს გამოიკვეთა წითელი ბათქაშებით მოცული ადგილები, რამაც ზემოთ აღნიშნული მოსაზრება გაამყარა კიდევ.

ამასთანავე 20-ე, 19-ე, 10-ე, მე-9, მე-100 და 99-ე კვადრატებში ნაწილობრივ შევისწავლეთ კორდოვანი ფენისა (10 სმ) და მოკირწყლული მოედნიდან მომდინარე ქვების ქვემოთ გავრცელებული კულტურული ნაშთების შემცველი მოყვითალო ფერის მოზვინული თიხნარი (15-20 სმ), ერთგან (მე-9 და მე-10 კვ) კომპაქტურად წარმოდგენილი იყო ანტიკური ხანის კერამიკა, ჭარბობდა ელინისტური ნაწარმი. აქვე ალაგ-ალაგ გვხვდებოდა ბათქაშის ნამტვრევებიც.

შემუშავებული მეთოდის მიხედვით საანგარიშო წელს ყურადღება მივაქციეთ გორა-სამოსახლოს აღმოსავლეთ მონაკვეთზე in situ მდგომარეობაში შემორჩენილი ელინისტური ხანის კულტურული ფენების კვლევას. სამუშაოები გაიშალა 30-ე, 29-ე, 28-ე, 18-ე, 19-ე, 20-ე, მე-10 კვადრატებში (ტაბ. II-III).

გაამართლა იმ ფაქტმაც, რომ გავაკეთეთ სადრენაჟო არხი, რამაც ადრე შესწავლილ თხრილში დაგუბებული წყლის დონე დაადაბლა (ტაბ. II/1). შესაბამისად ფიჭვნარისათვის შეიქმნა შედარებით უკეთესი პირობები სათანადო მეთოდის დაცვით მოზრდილ ტერიტორიაზე ელინისტური ხანის კულტურული ფენების მიებისათვის.

პირველ რიგში ბალახებისაგან გავასუფთავეთ ნამჭედურის ბორცვის ჭრილი და ზედაპირი. დავიწყეთ თხრილის გაფართოება ჩრდილოეთის მიმართულებით 28-ე კვადრატში. მისი დიდი მონაკვეთი დაზიანებული იყო; ჩაჭრილი ღრმა ორმო წყლითა და ჭილოფით დაფარული. ამ მონაკვეთში სამუშაოები საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა. მუშებს გაუჭირდათ ჭილოფის მკვრივად შეკრული ფესვების ამოღება. მცენარეებისაგან გათავისუფლების შემდეგ ამოვაშრეთ ორმოში დაგუბებული წყალი და დავიწყეთ შემორჩენილი, კორდით დაფარული ფენის ერთი ბარისპირის მეთოდით შესწავლა. ჰუმუსში ალაგ-ალაგ ჩნდებოდა რიყის ქვები და კერამიკის უსახური ფრაგმენტები, თანამედროვე სამშენებლო თუ საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

რადგან 28-ე კვადრატის დიდი ნაწილი ჩაჭრილ-დაზიანებული დაგვხვდა, ამიტომ გადავწყვიტეთ შემორჩენილი, მცირე მოზვინული თიხნარი 29-30-ე კვადრატებში არსებულ დონესთან (გასულ წელს ეს მონაკვეთი 50-60 სმ სიღრმემდე იყო შესწავლილი) გაგვეთანაბრებინა და ამ კვადრატებთან ერთად გაგვეგრძელებინა კულტურული ფენების კვლევა (ტაბ. II/2).

30-ე კვადრატში ბათქაშოვანი ფენის ნაშთებმა გარკვეულ მონაკვეთზე (55-70 სმ) ადრიდანვე იჩინა თავი. როგორც ჩანს, ბათქაშოვანი ფენა გარკვეულ სიღრმემდე ვრცელდება, ჯერჯერობით შესწავლილი გვაქვს 30-40 სმ. როგორც წესი, ბათქაშს თან ახლავს ნახშირის ნატეხები. კვადრატის დასავლეთ მონაკვეთზე ვრცელდება 60-65 სმ.

ნახშირის გარდა ბათქაშოვან ფენას უკავშირდება ხის წვრილი ტოტის ნაშთები. წამყვანია ელინისტური ხანის მასალა. ბუნებრივია, გამოერია უფრო ადრეული ეპოქის მასალებიც (ტაბ. IV).

საყურადღებოა, რომ ამავე კვადრატში მოპოვებულ იქნა ტყვიის შვეული ლენძა (ტაბ. XII/11). ბათქაშოვან ფენას კიდევ უფრო ვრცელი ტერიტორია უკავია მომდევნო 29-ე კვადრატში, რომელიც წარმოადგენს 30-ე კვ-ის ჩრდილოეთ გაგრძელებას. უშუალოდ ბათქაშოვანი ფენის გარდა ირგვლივ შეინიშნება მოწითალო ფერის ცალკეული მონაკვეთები, რომელიც სწორხაზოვნად ვრცელდება. ბათქაშოვანი ფენა საკმაოდ

მონოლითურია, მკვრივადაა შეკრული და არა ცალკეული ნატეხებით (ტაბ. II/2, III/1). გაჩნდა პირველი ეჭვი, რომ იგი ეკუთვნოდა ხის კარკასის მომცველ იატაკს. პრეპარაციის დროს მოწითალო ფერის მკვრივად მოტკეპნილ თიხნარ ფენაში ყურადღება მიიქცია უსისტემოდ, ირიბად, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განლაგებულმა კანგაუცლელმა ხის ტოტებმა. ვფიქრობთ, რომ ისინი სწორედ იატაკის სიმტკიცისათვის უნდა ყოფილიყო თიხატკეპნილში მოქცეული (ტაბ. IV).

უნდა აღინიშნოს, რომ იატაკის გამართვის ასეთი წესი დასავლეთ საქართველოს არაერთ გორა-ნამოსახლარზეა დადასტურებული ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან (ჯიბლაძე, 1997:56-60). თუ გავითვალისწინებთ ფიჭვნარისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ პირობებს, კერძოდ, კულტურულ ფენებთან გრუნტული წყლების სიახლოვესა თუ ჭაობიან ადგილებს, სადაც საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობების გასამართავად მყარი საძირკველის მომზადება იქნებოდა აუცილებელი, უსისტემოდ, ან შესაძლოა წნულებით შეკრული იატაკების მოწყობა მშენებლებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო.

ანალოგიური სურათი შეინიშნება 30-ე კვადრატის ჩრდილოეთ გაგრძელებაზე, 29-ე კვადრატშიც, სადაც 30-ე კვადრატისგან განსხვავებით, ზოგიერთ მონაკვეთში ხის გულის განადგურების (დალპობისა და გაქრობის) შემდეგ თეთრი ლაქების სახით დაფიქსირდა ხის ქერქის ნაშთები.

კულტურული ფენა გრძელდება მომდევნო 28-ე კვადრატშიც იმ განსხვავებით, რომ ბათქაშოვანი ფენა აქ არ ჩანს. სამაგიეროდ, აჭრელებულია ხის წვრილი ნამწვავთა ნაშთებით. არის არტეფაქტებიც: ამფორის ყურები, ძირები. თანდათანობით ფენა კარგავს ყვითელ შეფერილობას. არაა გამორიცხული, რომ 2 ბარისპირის ალების შემდეგ უფრო ადრეული კლასიკური ხანის ფენასაც მივუახლოვდეთ.

პარალელურად სამუშაოები გავშალეთ დასავლეთით მე-18, მე-19 და მე-20 კვადრატებშიც (ტაბ. V-VII). გასულ წელს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მე-19 და მე-20 კვადრატებში თიხნარის ზედა დონეზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის კერამიკა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად ამ მონაკვეთში მივიღეთ შემდეგი სურათი. მე-19 კვადრატის თითქმის მთელი მონაკვეთი დამტვრეული ბათქაშებითაა მოფენილი. ერთ ადგილას იგი თითქოს გროვების სახითაა წარმოდგენილი. მისგან აღმოსავლეთით ჯერჯერობით კვლავ თიხნარი ფენაა, რომელიც შეიცავს მოკირწყლული

მოედნიდან მომდინარე ქვებს. ჩანს, რომ ბათქაშები დასავლეთით მე-9 კვადრატისაკენ გრძელდება. ანალოგიურად გრძელდება ბათქაშები მე-18 კვადრატის დასავლეთ გაგრძელებაზე, მე-8 კვ-ში.

მე-19 და მე-20 კვადრატების დასავლეთ გადაკვეთაზე გამოჩნდა საკმაოდ მკვერთად მოტკეპნილი იატაკის ფრაგმენტი (სიგრძე 1 მ, სიგანე 40 სმ). ამიტომ ცოტათი გავაფართოვეთ თხრილი დასავლეთით მე-9 და მე-10 კვადრატებში. იატაკის სისქე დაახლოებით 10-15 სმ-ია. ვიზუალურად იატაკი ეს ნაწილი ისე გამოიყურება თითქოსდა სამი ბრტყელი ერთმანეთის გვედიგვერდ მიწყობილი, საგანგებოდ მოჭრილი ბათქაშებითა თუ ფილებისაგანაა შედგენილი, რომელთა ზედაპირი მცირედი განსხვავებით (2-3 მმ) სცილდება ერთმანეთს და სხვადასხვა სიმაღლეზეა წარმოდგენილი, ამათგან სამხრეთით მდებარე ფრაგმენტი წითელი ფერისაა, ხოლო დანარჩენი ორი მოყვითალო-მონაცრისფრო (ტაბ. IX). ვფიქრობთ, რომ იატაკის დაფენა მთელს მოედანზე არა ერთდროულად, არამედ თანმიმდევრულად პატარ-პატარა მონაკვეთებად მომხდარა.

ბათქაშოვანი იატაკის ნაშთების აღმოჩენა პირველი შემთხვევაა ფიჭვნარის სინამდვილისათვის. 1964 წელს გათხრების მიხედვით ვიცით, რომ ფიჭვნარის ხის კონსტრუქციის კედლები ოთკუთხა ლარტყებზე ბათქაშით იფარებოდა (კახიძე, 1971:59-60), რაც პრაქტიკული ჩანს ფიჭვნარის გარემოსათვის. იატაკის გამოჩენა, რათქმა უნდა, მორიგი სიახლეა არა მარტო ჩვენი ძეგლისათვის, არამედ საერთოდ კოლხეთის არქეოლოგიისათვის. როგორც ვხედავთ ჩვენ საკმაოდ რთულ სურათთან გვაქვს საქმე.

კიდევ ერთი წინასწარეული სიახლე. ზემოთ აღნიშნული იატაკის დასავლეთით თითქოსდა ჩნდება კედლის ნაშთები. შემორჩენილია 1,30 მ სიგრძის, 30 სმ სიმაღლისა და 30 სმ სიგანის ფრაგმენტი. ჯერჯერობით გადაჭრით არ ვამბობთ გამოჩენილი ნაშთი გადმოქცეულ კედელს უნდა ეკუთვნოდეს თუ საცხოვრებელი ნაგებობის ტიხარის ერთ-ერთ მონაკვეთს წარმოადგენს. ბუნებრივია, საბოლოო დასკვნები გაკეთდება მას შემდეგ, როდესაც მოხდება ამ ფენის დაღრმავება და თხრილის გაფართოვება დასავლეთის მიმართულებით.

იატაკის გადარჩენილი ფრაგმენტის აღმოსავლეთითა და სამხრეთით მცირე მონაკვეთზე ვრცელდება წვრილი ბათქაშების შრეები, რომელთა ერთი ნაწილი მონაცრისფროა, თითქოსდა ცეცხლშია მოხვედრილი. ამ ფენას აღნიშნული მიმართულებით

ბით თიხნარი მოსდევს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა სახის არტეფაქტებს. მე-20 კვადრატში აღმოჩნდა ერთი ცალი რკინის ლურსმანი, ქვევრის კედლის ნატეხები, ამფორის ფრაგმენტები. გვაქვს საქშენი მილიც. კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მცირე ფრაგმენტების სახით გვაქვს დამწვარი ხის ნაშთები (ტაბ. XI-XII).

კულტურული ნაშთების შემცველი თიხნარი ფენის აღების შემდეგ მე-19 და მე-20 კვადრატებში ბათქაშებიანი კულტურული შრე ბორცვის კონფიგურაციის შესაბამისად სამხრეთ-აღმოსავლეთით თანდათან სიღრმისაკენ დაეშვა (ტაბ. VI-VII). ეს მონაკვეთი წვრილი ბათქაშებითა და ხის ნამწვავების მცირე ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. X), აღნიშნული მიმართულებით იგი თანდათან მკრთალდება და ბათქაშოვან-ნახშიროვანი ლაქების სახითაა დაცული, რომელსაც აღმოსავლეთით მე-20 და 30-ე კვადრატების მიჯნაზე ენაცვლება წვრილი კენჭებისაგან შედგენილი მოედანი, მისი სიმძლავრე ზოგიერთ მონაკვეთში აღწევს 10 სმ. არ გამოვრიცხავთ, რომ ანტიკურ ხანაში თიხატკეპნილთან ერთად წვრილი კენჭებით მოპირკეთებული იატაკის გამართვაც ხდებოდა (ტაბ. III/2).

რაც შეეხება მე-18 კვადრატის დასავლეთ მონაკვეთს, აქ კორდოვან შრეს (13-17 სმ) უშუალოდ მოსდევს ბათქაშოვანი ფენა, რომელიც ცალკეული ნატეხების სახითაა წარმოდგენილი და გაუთხრელი ფართობის (მე-8 კვადრატი) მიმართულებით ვრცელდება. ერთგან თითქოსდა მოკირწყლული მოედნის ფრაგმენტიცაა შემორჩენილი, მაგრამ იგი არ უნდა უკავშირდებოდეს წინაანტიკური ხანის მოკირწყლულ ფენებს (ტაბ. V). აღმოსავლეთ მონაკვეთის დიდი ნაწილი თიხნარი ფენითაა წარმოდგენილი. არის ცალკეული ნივთები. ამ დონეს (55 სმ) უკავშირდება ქვის სალესი. არის ამფორის პირ-ყელის ნატეხები. წინასწარული მოსაზრებით ეს დონეც ელინისტური ხანის საცხოვრებელ კომპლექსს უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ჩანს გაცილებით დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება ბათქაშოვანი ფენა და ზემოთ აღნიშნულ კვადრატებში იქმნება ერთიანი დონე. ამავე დონეს უნდა მივაკუთვნოთ მე-10 და მე-9 კვადრატებში პრეპარირებული იატაკად მიჩნეული ფართობი (ტაბ. VIII/1). გაჩნდა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა საგანგებოდ მოჭრილი ბათქაშების გარდა იატაკის გამართვისას მოყვითალო თიხნარი გამოუყენებიათ. ეს გასაგებიცაა. თავის მხრივ, თიხატკეპნილი იატაკი უფრო მკვრივი აღმოჩნდებოდა. მე-9 კვადრატში დაფიქსირებულ მოყვითალო ფერის თიხატკეპნილში, ალაგ-ალაგ ბათქაშის ნატეხებიცაა შერეული. ორივე ნაშთი ნაგებობის ერთ კომპლექსს უნდა მიეკუთვნებოდეს,

რომლის საზღვრების დადგენა მომავალი წლების კვლევა-ძიების საგანი იქნება. ამ მონაცემების მიხედვითაც სახეზეა მნიშვნელოვანი სიახლე ანტიკურ ხანაში კოლხურ ხუროთმოძღვრებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით. სამხრეთის მიმართულებით მე-10 კვადრატში 15-20 სმ-მდე დავლრმავდით. საინტერესოა, რომ მოკირწყლული მოედანი გაგრძელდა (ტაბ. VIII/2). ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ რიყის ქვებთან ერთად ზომიერად ჩნდება თიხის ჭურჭლის ნატეხები, მათ შორის, იმპორტული ამფორებიც. ადრე ჩვენ ვთქვით, რომ მე-20 და მე-19 კვადრატებში წარმოდგენილი იყო ჰერაკლეს ამფორის ძირები. როგორც ჩანს, ნაგებობა გვიანკლასიკურ ხანას (ძვ.წ. IV საუკუნის 30–იან წლებამდე). აქ არ გვხვდება ადრე ელინიზმისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი, მათ შორის კოლხური ამფორები, განსხვავებით 30-ე და 29-ე კვადრატებისა, სადაც არსებითად წარმოდგენილი იყო ელინისტური ხანის არტეფაქტები (ტაბ. XI-XII).

მიუხედავად მცირე მასშტაბებისა, ნამჭედურის გათხრები მეტად საინტერესო და პერსპექტიული ჩანს. გზადაგზა მოგვიწევს ზოგიერთი ადრინდელი თვალსაზრისის დაზუსტება. ფაქტი ერთია, რომ მიმდინარეობს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის – ფიჭვნარის დასახლების თანამიმდევრული კვლევა-ძიებანი. ვფიქრობთ, სამაროვნების მსგავსად ნაქალაქარის გათხრებსაც ბევრი ეპოქალური სიახლით აღინიშნება.

ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი. 2017 წლისათვის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მორიგ ობიექტს წარმოადგენდა ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი, სადაც გარკვეული მასშტაბის სამუშაოები 2012-2014 წლებში განხორციელდა. დღემდე აღმოჩენილია 48 სამარხი და ორი სააღაპო მოედანი. წელს გადავწყვიტეთ სამაროვნის კვლევა, რომლის მიმართ ინტერესი საკმაოდ დიდია. კერძოდ, ფიჭვნარის ანტიკური ხანის სხვა სამაროვნებთან შედარებით (ძვ.წ. V ს კოლხური, ძვ.წ. V – IV სს ბერძნული და ელინისტური სამაროვნები) ამდროინდელი განსასვენებლები ჯერ კიდევ ცოტა რაოდენობითაა შესწავლილი. ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ, ის რომ საბჭოთა ეპოქაში სამაროვანი მთლიანად ჩაის პლანტაციებით იყო დაფარული, სადაც რაიმე სახის სამუშაოს ჩატარება სასტიკად იკრძალებოდა. ტოპოგრაფიის მიხედვით, ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი წარმოადგენს ჩრდილოეთიდან ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვნის ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ გაგრძელებას, ხოლო დასავლეთით -

მვ.წ. IV ს ბერძნული ნეკროპოლის მიმართულებით, ასევე, აღმოსავლეთით – მდ. ჩოლოქის მიმართულებით მისი საზღვრები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

ბუნებრივია, ინტერესთა სფეროში ექცევა ამ მეტად საინტერესო ეპოქისათვის დამახასიათებელი ახალი არტეფაქტების მოძიება-გამრავლება, ცვლილებები იმ ძვრების, რაც დამახასიათებელი უნდა იყოს გვიანკლასიკური და ადრეული ელინიზმის ხანისათვის. პირველადი შთაბეჭდილების მიხედვით კარგად ჩანს, რომ საკმაოდ ღრმავდება ფიჭვნარის ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციის პროცესები.

პირველ რიგში გასათხრელი ტერიტორია გაიწმინდა ჯაგნარისა და ეკალ-ბარდისაგან. აიგემა NO-13 სექტორის მე-17, მე-18, მე-19, მე-20 კვადრატები, რომლებიც მდებარეობს ადრე შესწავლილი თხრილის დასავლეთით. NO-14 სექტორიში ექცევა 11-12, 21-22, 31-32, 41-42 და 51-52 კვადრატები. ეს მონაკვეთი წარმოადგენს ადრე შესწავლილი თხრილის გაგრძელებას ჩრდილოეთის (ე.ი. მვ.წ. V ს კოლხური სამაროვანი) მიმართულებით (ტაბ. XIII-XIV).

დავიწყეთ ჰუმუსოვანი ფენის მოხსნა. მისი სიმძლავრე კვადრატების მიხედვით ასე გამოიყურება:

NO 13 სექტორი: კვ. 17-24-30 სმ

კვ. 18 – 30 სმ

კვ. 19 – 30-35 სმ

კვ. 20 – 35-43 სმ

კვ. 21 – 30-40 სმ

NO 14 სექტორი: კვ. 11/12 – 35-40 სმ

კვ. 21/22 - 40-45 სმ

კვ. 31/32 – 40-45 სმ

კვ. 41/42 - 40 სმ

კვ. 51/52 – 35-40 სმ

ამ დონის კვლევისას შეინიშნებოდა არქეოლოგიური არტეფაქტების შემცველი მოედნის არსებობა. NO-13 სექტორის მე-18 კვადრატში აღმოჩენილი აღაპის პრეპარაციის დროს კერამიკული ფრაგმენტები არ დასტურდება. გვხვდება მხოლოდ ნახშირი და კალცირებული ძვლების მცირე ოდენობით. ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდეგ, ფხვიერი სილნარის შრის შესწავლის გზით მთელ მოედანზე გაგრძელდა დედაქანში ჩაჭრილი სამარხების კონტურების გამოჩენა (ტაბ. XIV). თანამედროვე ზედა-

პირიდან 40-45 სმ სიღრმეზე აქა-იქ ჩნდება ადგილობრივი და ნაცრისფერკეციანი ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტები. საინტერესოა, ასევე საკულტოსათვის დამახასიათებელი რქისებრი სადგრის ნატეხი. ფიჭვნარის სამაროვნის ამ მონაკვეთზე ათასწლეულების მანძილზე დაზიანება არ შეიმჩნევა. კარგად ჩანს ტერიტორიის სამაროვნად ათვისების ფაქტი.

სამარხი №49. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ხის სახურავიანი. ზომები: 2X0,95X1 მ. თავისა და ფეხების არეში გაიწმინდა წყვილი ჰორიზონტალურად ჩაჭედებული ლურსმანი. სიგრძეზე პარალელურად განლაგებული სამი ვერტიკალური ლურსმანი. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში პრეპარირებული იქნა ნაცრისფერკეციანი თავდაყირა ჩადგმული დოქი. პირის არეში ვერცხლის კოხური თეთრი.

სამარხი №50. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2X1,10X1,2 მ. თავის არეში ჩაუდგამთ ადგილობრივი ჯამის ძირის ფრაგმენტები. სამარხის ზედაპირიდან 30 სმ-ზე, ხოლო სამარხის დონეზე ორი რკინის ლურსმანი.

სამარხი №51. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. სამარხეული ორმოს ზომები: 1,7X1X1,1 მ. ცენტრალურ ნაწილში პრეპარირებულია ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები.

სამარხი №52. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი, სამარხეული ორმოს ზომები: 1,3X1,2X1,2 მ. ხის კუბოს ზომები: 2X0,40X0,8 მ. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედაპირიდან 50 სმ სიმაღლეზე, ჩაუდგამთ ჰერაკლეური ამფორა (ტაბ. XVI/11). გადარჩენილია ქვედა ნახევარი. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში პირის არეში აღმოჩნდა ვერცხლის 2 მონეტა – კოლხური თეთრი, მარცხენა ხელის არეში – შავლაკიანი არიზალისებრი ლეკითოსი (ტაბ. XVI/8). აქვეა რკინის ბეჭედი და სამაჯური, რომელიც პრეპარაციის დროს დაიშალა. მარცხენა ფეხთან დევს თიხის ადგილობრივი დოქი, მარჯვენასთან კი შავლაკიანი სამარილე (ტაბ. XVI/6). როგრც ჩანს, მიცვალებული ხის კუბოში იყო. სამარხის თავთან, ასევე, ბოლოში რამდენიმე ლურსმანი გაიწმინდა.

სამარხი №53. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1,65X1X1,15 მ. სამარხის თავზე, აღმოსავლეთით, ჩაუდგამთ ადგილობრივი კოჭობი. ასევე გაიწმინდა სხვა ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი.

სამარხი №54. სამარხეული ორმო, წრიული ფორმის. დიამეტრიც 0,8 მ, სიღრმე – 1 მ. სამარხის დონიდან 30 სმ-ზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

სამარხი №55. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 0,65X0,5X1,2 მ. ხის კუბოს თავის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში ჩაუდგამთ შავლაკიანი არიზალი-სებრი ლეკითოსი (ტაბ. XVI/10). თვით კუბოში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის ინვენტარი: თავის არეში გაიწმინდა ვერცხლის წყვილი საყურე (ტაბ. XVI/7), ვერცხლის ორი მონეტა, რკინის ბეჭედი (2 ც). როგორც ჩანს, მიცვალებულს ხელები სახის წინ ჰქონდა დაკრეფილი. ასევე, სახესთან ახლოს, გაიწმინდა ბრინჯაოს ზარაკი და ადამიანის სახის გამოსახულებიანი მინის საკიდი (ტაბ. XVI/12, 13) თვალად მძივთან ერთად. მარცხენა ხელის არეში აღმოჩნდა ტახის გამოსახულებიანი ტერაკოტა (ტაბ. XV/3). ეს პირველი შემთხვევაა კოლხებთან დაკრძალვის რიტუალში. მარცხენა ხელი არეშივე, 25 სმ-ით მაღლა, პრეპარირებულ იქნა წაქცეული ადგილობრივი დოქი, ხოლო მარჯვენა ხელთან – კოჭობი. დოქის თავზე გაიწმინდა რკინის ნივთის ფრაგმენტები. მასალის ალაგების დროს, მონეტის ქვემოთ დადასტურდა ბრინჯაოს სტრიგილას ფრაგმენტები.

სამარხი №56. დამხრობა ჩრდილო-აღმოსავლეთით. ზომები: 1,7X1,1X1,3 მ. უინვენტარო.

სამარხი №57. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. სამარხეული ორმოს ზომები: 1,7X0,85X1,5 მ. უინვენტარო.

სამარხი №58. ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1,5X1X1 მ. უინვენტარო.

სამარხი №59. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. სამარხეული ორმოს ზომები: 2,2X1X1,2 მ. კუბოს ზომები: 1,8X0,72X0,5 მ. მიცვალებულის პირის არეში გაიწმინდა ვერცხლის ორი მონეტა, ოქროს ფუყე მძივებისაგან შედგენილი ყელსაბამი (ტაბ. XVI/14), რომელიც ყელის არეში იყო წრიულად დაფიქსირებული. მარჯვენა ხელის არეში პრეპარირებულ იქნა შავლაკიანი ლეკითოსი (ჩამტვრეული) (ტაბ. XVI/9). მარჯვენა ფეხთან ჩაუდგამთ კოლხური ორნამენტირებული ოინოხოია (ტაბ. XVI/1), ხოლო მარცხენა ფეხთან მცირე ზომის დოქი. სამარხთან დაკავშირებულია №2 სააღაპო მოედანი (ტაბ. XIV/3), რომელიც სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. წარმოდგენილია შავლაკიანი და იონური ჭურჭლის ფრაგმენტები. ასევე, დადასტურდა ნახშირის კვალი.

სამარხი №60. წრიული ფორმის. ზომები: 1,4X1X1,1 მ. ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა ამფორის კედლის ფრაგმენტი.

სამარხი №61. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2,3X0,8X1, მ. სამარხის თავზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ჩადგმულია ადგილობრივი ორნამენტირებული ჭურჭელი.

სამარხი №62. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2,1X0,9X1,2 მ. სამარხის სამხრეთ კედელთან, რკინის ლურსმნის დონეზე, დევს ქვის საპრიალელები. ასევე, ადგილობრივი დოქი. მიცვალებული ხის კუბოში იყო დაკრძალული.

როგორც ვხედავთ, ამ წლისათვის ძვ.წ. IV საუკუნის კოლხურ სამაროვანზე ფართო მაშტაბის სამუშაოები იქნა ჩატარებული. პრეპარირებულ იქნა ორი სააღაპო მოედანი და 13 სამარხი. როგორც, წინა მონაცემებიდან ვიცით, გვიანკლასიკური ხანიდან ფიჭვნარელი კოლხები, აქაური ელინების მსგავსად, იწყებენ საქელებო რიტუალის შესრულებას. საინტერესო სურათი ისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნითაც. საკმაოდ ბევრია ისეთი ჭირისუფალი, რომელიც საიმქვეყნიო ინვენტარს მოკრძალებულად ან საერთოდ ვერ ატანს. აღაპის წესის მსგავსად, გაიზარდა ელინიზებულ კოლხთა რიცხვი, რომლებიც თავიანთ მიცვალებულებს კრძალავდნენ უკვე თავით აღმოსავლეთისაკენ. თუმცა გრძელდება ტრადიციული ადათ-წესებიც. მხედველობაში გვაქვს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი სამარხები.

ტრადიციულად, ადრე კლასიკური ხანის დაკრძალვის წესები შემორჩენილია ინვენტარის ჩაყოლების კანონზომიერებაში. არტეფაქტების დიდი ნაწილი, როგორც წესი, თავის არეშია განლაგებული. ჰერაკლეური ამფორა, თიხის კოჭობი, შავლაკინაი არიბალისებრი ლეკითოსი, ვერცხლის საყურეები, ბრინჯაოს ზარაკი, ფიგურული მინის საკიდი (ტაბ. XVI). ბეჭდები, რომელიც ორ სამარხში აღმოჩნდა, ხელის არეშია დადასტურებული. ყელის არეში გაიწმინდა თვალადი მინის (1 ც) და ოქროს ფუყე მძივები (94 ც). დამკვიდრებულია მიცვალებულისათვის ქარონის ობოლის ჩაყოლების, ელინებისათვის დამახასიათებელი ადათ-წესი. სამ სამარხში დადასტურდა ვერცხლის ორი მონეტის ჩაყოლება, ერთში კი – ერთი ცალის.

მაცხენა ხელთან აღმოჩნდა შავლაკიანი არიბალისებური ლეკითოსი (სამარხები №52 და №59), რკინის ბეჭედი და სამაჯური. პირველად აღმოჩნდა კოლხურ სამაროვანზე დემეტრას კულტთან დაკავშირებული ტახის გამოსახულებიანი ტერაკოტა. ასევე, დადასტურებულია ადგილობრივი ოინოხოია, დოქი და კოჭობი, ძვ.წ. IV საუკუნისათვის დამახასიათებელი ნაცრისფერკეციანი დოქი (სამარხი №49).

ძვ. წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლისი. სანგარიშო წლისათვის ძვ.წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლისის თხრილი გაფართოვდა აღმოსავლეთის მიმართულებით. NW-15 სექტორში აიგემა 10 კვადრატი (53-57, 63-67 კვადრატები). იმპორტული და ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის ცალკეული ნატეხების შემცველი 0.40-0.50 მ სიმძლავრის ჰუმუსოვანი და 0.15-0.20 მ სისქის ფხვიერი სილნარი ფენის ალების შემდეგ გამკვრივებულ სილნარში გამოვლინდა სამარხები და მათთან დაკავშირებული სააღაპო მოედნები. ზედა ფენებში აღმოჩენილი ნატეხების დიდი ნაწილი გათხრების მომდევნო ეტაპზე დაუკავშირდა საკვლევ ფართობზე გამოვლენილ სააღაპო მოედნებს. სულ შესწავლილია 13 სამარხი და 5 სააღაპო მოედანი.

სამარხი №344. NW15 სექტორი, 67/68 და 57/58 კვადრატების მიჯნა, დამხრობილი აღმოსავლეთისკენ, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. თავის არეში აღმოჩნდა ქიოსური ამფორა; იონიური სანელსაცხებლე/ლეკითოსი.

სამარხი №345. NW15 სექტორი, 57-ე კვადრატი, დამხრობილი აღმოსავლეთისკენ. თავის არეში აღმოჩნდა იონიური მინიატურული ამფორა; ხელების არეში – წითელფიგურული მარტივორნამენტიანი არიზალოსისებრი ლეკითოსი; ფეხებთან შავლაკიანი ჯამის ძირი გრაფიტოთი; თავისა და მკერდის არეში მიკვლეულია მძივსაკიდები (შედგენილი საკიდი - საკიდის რკალი დამზადებულია ვერცხლის წვრილი მავთულისაგან, მასზე უძრავად ყოფილა მიერთებული მინის წყლისფერი (2) და იოდისფერი (1) სადა მძივები, სრულად დაცულია მხოლოდ ერთი მათგანი); აქვე აღმოჩნდა თვალადი მძივი ცისფერ ფონზე თეთრი და ლურჯი ძაფებით შემოფარგლული 3 რელიეფური თვალით; მარცხენა ხელთან პრეპარირებულია პატინით დაფარული ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. XVIII,1).

სამარხი №346. NW15 სექტორი, 67-ე კვადრატი, დამხრობილი აღმოსავლეთისკენ, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. თავის არეში მოპოვებულია სამოსური ამფორისკოსი; ასევე, ბრინჯაოს ზარაკი, მინის ყვითელფონიანი თვალადი მძივები თეთრი და ლურჯი ძაფებით შემოფარგლული ლურჯი რელიეფური თვალით და რკინის ნივთის (მშვილდსაკინძი?) ნატეხები.

346-ე სამარხთან დაკავშირებული აღაპი №1. NW15 სექტორი, 67-ე კვადრატი. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნატეხების შემცველი აღმოჩნდა. მათ შორის, ბუნებრივია, თვალშისაცემია დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ატიკური შავლაკიანი კერამიკის სიჭარბე. გვხვდება სადა ზოლებიანი იონიური კერამიკისა და ადგილობ-

რივი ჭურჭლის ნატეხები. დამწვარ გაშავებულ სილნარ ფენაში ხშირად ჩნდება დანახშირებული ნატეხები, კალცირებული ძვლების მოზრდილი ფრაგმენტები. ალაპის თანმხლები ჩანს პატარა ზომის დამტვრეული ქიოსური ამფორა. სააღაპო მოედანზე შემდეგი სახის სამეთუნეო ნაწარმია აღმოჩენილი: შავლაკიანი კილიკი, ბოლსალი, სკიფოსი, ჯამები, ოლპა, სენ-ვალენტინის ტიპის შტამპირებულორნამენტიანი კანთაროსი, იონიური ოინოხოია.

სამარხები 347 (66-ე კვ.), **348** (66-ე კვ.), **349** (56-ე კვ.) და **350** (56-ე კვ.) უინვენტაროა.

350-ე სამარხთან დაკავშირებული ალაპი №2. NW15 სექტორი, 56-ე კვადრატი. ის სამ მონაკვეთზე იყო გაშლილი. უშუალოდ სამარხის თავზე უპირატესად ვხვდებით ქიოსური ამფორის ნატეხებს. მეორე გროვაც მიცვალებულის ფეხების არისკენ იქნა პრეპარირებული. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დამწვარ დანახშირებულ ფენაში წარმოდგენილი იყო ჭურჭლის ნატეხები: პატარა ზომის ატიკური შავლაკიანი სკიფოსი, შავლაკიანი სამარილე, ბოლსალი, კილიკი, ჯამი, იონიური ოინოხოია.

სამარხი №351 (NW15 სექტორი, 66-ე და 65-ე კვადრატების მიჯნა, დამხრობილი აღმოსავლეთისკენ): ფეხების არეში აღმოჩნდა ყურმილიანი დოქი და თიხის ადგილობრივი ქოთანის.

სამარხი №352. 65/55 კვ. მიჯნა. უინვენტარო.

სამარხი №353. NW15 სექტორი, 65-ე კვადრატი. დამხრობილი აღმოსავლეთისკენ, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. თავის მხარეს, სამარხის გარეთ, ჩაუდგამთ თაზოსური ამფორა; ლურსმნები რკინის, ბრინჯაოს (ტაბ. XVII,2).

353-ე სამარხთან დაკავშირებული ალაპი №3. NW15 სექტორი, 65-ე კვადრატი. ალაპის ნაშთები ფიქსირდება 5 მონაკვეთზე, ერთ-ერთი მათგანი ექცევა უშუალოდ სამარხის ორმოში, კუბოს ჩრდილოეთ კედელს ესაზღვრება ზედა დონის ლურსმნების დასაწყისამდე. აღმოჩნდა შავლაკიანი ასკოსის ძირი და მილი, ცალკეულ ნატეხებზე გრაფიტოც გვხვდება. დანარჩენი ჯგუფები სამარხის ირგვლივაა განლაგებული. მათ შორის ორზე ფიქსირდება მხოლოდ გაშავებული სილნარი ფენა ნახშირის ნატეხებით, ორზე კი ატიკური შავლაკიანი კილიკისა და ამფორის ნატეხები აღმოჩნდა. ქიოსური ამფორა საგულდაგულოდ ჩანს დამსხვრეული.

სამარხი №354. NW15 სექტორი, 55-ე კვადრატი, დამხრობილი აღმოსავლეთისკენ. ფეხების არეში ჩაუდგამთ წითელფიგურული მარტივორნამენტისანი არიბალოსისებრი ლეკითოსი (სამარხის შესწავლა არაა დასრულებული, იგი დროებით დაკონსერვებულია.

სამარხი №355. NW15 სექტორი, 54-ე კვადრატი, დამხრობილი აღმოსავლეთისკენ: ფეხების არეში პრეპარირებულია ტალღისებურორნამენტისანი ყურმილიანი დოქი, მარჯვენა ხელის არეში – მარტივორნამენტისანი შავლაკიანი არიბალოსისებრი ლეკითოსი. ორივე ჭურჭელი კუბოს ჩავარდნილ სახურავს ჩაუმსხვრევია; მარცხენა ხელის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური; თავის არეში - საკიდის ვერცხლის გარსაკრავი. მასში შესაძლოა მინის მძივი იყო ჩასმული; ასევე, ვერცხლის პირამიდული საკიდი და მძივები (ტაბ. XVIII,2).

სამარხი №356. უინვენტარო.

აღაპი №4. NW15 სექტორი, 64-ე კვადრატი. წამყვანი ადგილი ატიკურ შავლაკიან კერამიკას უკავია. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ორმაგვარდულიანი ატიკური შავლაკიანი კილიკი, შავლაკიანი ჯამი, შავლაკიანი ასკოსი. არის იონიური დოქისა და ადგილობრივი კერამიკის ნატეხები.

აღაპი №5. NW15 სექტორი, 53-ე კვადრატი. განცალკევებით დგას, გათხრები ბოლომდე არ არის მიყვანილი. მისი საზღვრები გაუთხრელ ფართობშიაც უნდა ვრცელდებოდეს. დამტკრეულ მასალაში ნატეხების დიდი ნაწილი წყვილდერიან იონიურ დოქს ეკუთვნის. ამ პერიოდის კომპლექსებისათვის იშვიათობას წარმოადგენს ამ სააღაპო მოედანზე აღმოჩენილი პატარა ზომის ცილინდრული შავლაკიანი ლეკითოსი. ასევე, აღმოჩნდა შავლაკიანი ბოლსალის ძირი, ყური და ტანის ნატეხები, შავლაკიანი ჯამი (ტაბ. XVIII,3).

გამოყენებული ლიტერატურა

1. კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971.
2. კახიძე ა., სურმანიძე ნ., შალიკაძე თ., ძნელაძე ნ., თურმანიძე მ., ნაგერვაძე მ., ფარტენაძე თ., 2014-2015 წწ ფიწვნარის ნაქალაქარისა და სამაროვანზე წარმოებუ-
ლი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. - აჭარა, წარსული და თანამედროვეო-
ბა, III, თბ., 2017:113-206.
3. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრა-
ფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997.



1. ნამჭედურის ბორცვი. ხედი აღმოსავლეთიდან



2. ნამჭედურის ბორცვი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



1. ნამჭედურის ბორცვის ძირი. აღმოსავლეთიდან



2. ნამჭედურის ბორცვის ძირი. აღმოსავლეთი. ელინისტური ხანის კულტურული ფენა



1. ნამჭედურის ბორცვის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან



2. მოკირწყლული მოედნის ფრაგმენტი



1. ბათქაშეზიანი მოედანი. ხის ნამწვავისა და ტოტების ფრაგმენტები



2. ბათქაშეზიანი მოედანი. ხის ტოტების ნაშთებით



1. ანტიკური ხანის კულტურული ფენები. ხედი ჩრდილოეთიდან



2. ანტიკური ხანის კულტურული ფენები. ხედი ჩრდილოეთიდან



1. ნამჭედურის ბორცვის აღმოსავლეთი ხედი. ბათქაშებიანი შრეები



2. ნამჭედურის ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ხედი



1. ნამჭედურის ბორცვის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან



2. ნამჭედურის ბორცვის საერთო ხედი სამხრეთიდან



1. ბათქაშებისა და მოკირწყლული მოედნის საერთო ხედი



2. მოკირწყლული მოედანი



1. იატაკის ფრაგმენტები



2. იატაკის ფრაგმენტები



1. აღმოსავლეთ ფერდობზე დარეცხილი ბატეაშებისა და ნახშირის ნაშთები



2. აღმოსავლეთ ფერდობზე დარეცხილი კერამიკის ბატეაშებისა და ნახშირის ნაშთები



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16

ნამჭედურის ბორცვზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14

ნამჭედურის ბორცვზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა



1. ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი. ხედი აღმოსავლეთიდან



2. ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი. ხედი სამხრეთიდან



1. ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი. გათხრების საერთო ხედი ჩრდილოეთიდან




2. სამარხი №59



3. ალაპი №2



1. ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი. სამარხი № 55



2. სამარხი № 55



3. ტერაკოტა. ტახი.




1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15

პე.წ. IV ს კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა



1. ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლისის გათხრების საერთო ხედი



2 . ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლისი. სამარხი №353



1. სამარხი №345



2. სამარხი №355



3. ადგილი №5